# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 217

ქალაქი ქუთაისი 18 აგვისტო 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №221 და №222 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს
№217 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგის-ტრაციო ნომერი | საწყისი საპრივა-ტიზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 221 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სოლომონ მეორის ქუჩა, II შესახვევი, №8ა-ს ჩრდილოეთით | 5008.00 | 03.06.24.333 | 55.0 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 222 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №52-ის დასავლეთით | 126.00 | 03.04.24.483 | 190.0 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობოდ | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია